აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილი სახელმწიფოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) საკუთრებაში არსებული (ე.წ. ოცნების ქალაქში) უძრავი ქონების მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N10

ქ. ბათუმი, აკ. მ. კომახიძის ქ. N119

30 მაისი, 2022 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილი, სახელმწიფოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ე.წ. ოცნების ქალაქში) მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის სხდომას უძღვებოდა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის უფროსი - ჯაბა ფუტკარაძე. ჯგუფის მდივანი - ინგა გოგიძე.

<u>**სხდომას ესწრებოდნენ ჯგუფის წევრები:**</u>

ოთარ დიასამიძე, ზურაბ თენიეშვილი, ირინა ბათაძე, კობა თედორაძე, ეკატერინე ბახტაძე, გელა ცინცაძე, ნაზი მგელაძე, დალი ქიქავა, დავით ქათამაძე, შოთა დოლიძე,

სხდომას დისტანციურად ესწრებოდნენ: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელი - კახა მამულაძე, **გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი** - ნინო ჯიჯავაძე.

სხდომას, ასევე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - ნინო ნიჟარაძე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - ედუარდ ნაკაშიძე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ადმინისტრაციის უფროსი - თინათინ ზოიძე.

დღის წესრიგი:

ე.წ. ,,ოცნების ქალაქის" ტერიტორიაზე მცხოვრებთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით შესაბამისი კრიტერიუმების დადგენა.

ჯაბა ფუტკარაძე მიესალმა სამუშაო ჯგუფის წევრებს და აღნიშნა, რომ არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა ჯგუფის მიერ და შემუშავებული იქნა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დადგინდება, თუ ვინ შეიძლება იყოს ე.წ ,,ოცნების ქალაქის" ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ პროგრამის (შემდგომში-პროგრამა) ბენეფიციარი და რა შემთხვევებში ვერ ჩაერთვება მოქალაქე პროგრამაში.

სამუშაო ჯგუფის მიერ დასახელდა გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში მოქალაქეები ვერ ისარგებლებენ პროგრამით. კერძოდ, პროგრამაში ვერ ჩაერთვება:

1. ოჯახი, რომელსაც 2019 წლიდან საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება;
2. ოჯახი, რომელმაც 2019 წლიდან გაასხვისა უძრავი ქონება;
3. ოჯახი, რომელსაც გააჩნია 40 000 ლარზე მეტი შემოსავალი;

4. ოჯახი, რომელმაც ისარგებლა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით;

5. ოჯახი, რომელსაც სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა საცხოვრებელი ბინის, სახლის, მიწის კომპენსაცია არანაკლებ 25 000 ლარისა ან/და საცხოვრებელი ფართი;

6. ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 400 000 და მეტი სარეიტინგო ქულით.

ამასთან, სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა რიგითობის განსაზღვრაზე, რომლის დაცვითაც დაკმაყოფილდება პროგრამაში მონაწილე ოჯახები. კერძოდ:

1. ტერიტორიული პრინციპით;
2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი;
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
4. სპეციალური სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე პირი;
5. მარტოხელა მშობელი;
6. მარჩენალდაკარგული;
7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი;
8. მრავალშვილიანი (3 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) ოჯახი;
9. ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში;
10. მრავალსულიანი (7 და მეტი წევრი) ოჯახი;
11. ომის ვეტერანი ან მასთან გათანაბრებული პირი;
12. საპენსიო ასაკის პირი;
13. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი;
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი;
15. იპოთეკით დაზარალებული ოჯახი.

ჯაბა ფუტკარაძის მოსაზრებით, კრიტერიუმების შემუშავების დროს კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ოჯახების მფლობელობაში არსებული ქონება, თუმცა უნდა დაზუსტდეს რა ტიპის ქონებას ექნება მნიშვნელობა საცხოვრისით დაკმაყოფილების გადაწყვეტილების მიღებისას. კრიტერიუმების დაწესებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ფაქტი სახელწიფოსაგან მიღებული დახმარების შესახებ (გადაეცათ საცხოვრებელი ფართი ან თანხა გამოეყო საცხოვრებელი ფართის შეძენის მიზნით) და ეს შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ამ პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილების გამომრიცხველი გარემოება.

„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების“ წარმომადგენელმა, კახა მამულაძემ აღნიშნა, რომ ე.წ. „ოცნების ქალაქის“ პროექტის განხორციელებისას უნდა დაწესდეს ისეთი კრიტერიუმები, რომელიც დაიცავს გარკვეულ სამართლიანობას. ყველას უნდა ჰქონდეს უკეთეს გარემოში ცხოვრების უფლება. ბუნებრივია, ცალკეული ინდივიდების, ან ოჯახების მხრიდან შესაძლებელია იყოს გარკვეული უკმაყოფილება და ჰქონდეთ უსამართლობის შეგრძნება, თუმცა გასათვალისწინებელია არსებული შესაძლებლობები და საჭიროა ე. წ. „ჩამკეტი მექანიზმების“ არსებობა, ყველა რასაკვირველია ვერ დაკმაყოფილდება. ასევე, გამოთქვა მზადყოფნა შემდგომ თანამშრომლობისათვის.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა ნინო ჯიჯავაძემ აღნიშნა, რომ ე.წ. „ოცნების ქალაქის“ პროექტის განხორციელებისას უნდა მოხდეს კრიტერიუმების თანწესება შესა

ფარგლებში, განსაკუთრებით ის მხარს უჭერს ბავშვთა უფლებების დაცვას და გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობისათვის. აღნიშნა, რომ ბენეფიციარების შერჩევის დროს უპირატესობით, ასევე უნდა სარგებლობდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები;

ოთარ დიასამიძემ აღნიშნა, რომ შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ძირითადად უნდა შეეხოს იმ ოჯახებს, რომლებსაც 2019 წლიდან გააჩნიათ თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) უძრავი ქონება. არსებული მონაცემები, საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი ინფორმაცია მივიღოთ ცალკეული ოჯახების შესახებ. ამასთან, თვითმმართველ ქალაქს მოსახლეობისათვის სხვადასხვა მომსახურების მიწოდების უფრო მეტი რესურსი გააჩნია. შესაბამისად, მოსახლეობას მეტ სერვისთან აქვს წვდომა. მისი მოსაზრებით, თუკი კონკრეტულ ოჯახს არ ექნება დადგენილი გამომრიცხავი გარემოება, უნდა მოხდეს მისი დაკმაყოფილება რიგითობის მიხედვით, ჯგუფის მიერ უკვე დასახელებული კატეგორიების შესაბამისად. ამასთან, ვინაიდან ე. წ ,,ოცნების ქალაქის" ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აღწერა მოხდა 2019 წელს, მიზანშეწონილია აღნიშნული პერიოდი იქნას აღებული შესაბამის გარემოებათა გამოსავლენად.

ედუარდ ნაკაშიძემ აღნიშნა, რომ ე.წ. ოცნების ქალაქის პროექტის განხორციელების დროს გარკვეულ შეფერხებას წარმოადგენს მშენებლობის შემდეგი ეტაპისათვის ტერიტორიის გამოთავისუფლება. ასევე უნდა გამოთავისუფლდეს ის ტერიტორია, რომელიც მიმდინარე მშენებლობის პროექტით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი სივრცის (გზა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა და ა.შ.) მოწყობისათვის. დაეთანხმა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ კრიტერუმებს, თუმცა აღნიშნა, რომ პირველ რიგში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მშენებლობის შემდეგი ეტაპისათვის და საზოგადოებრივი სივრცისათვის გამოსათავისუფლებელ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებს (ტერიტორიული პრინციპით);

კობა თედორაძემ აღნიშნა, რომ ე.წ ,,ოცნების ქალაქში" რეალურად მცხოვრებ ყველა ოჯახს ესაჭიროება დახმარება და საცხოვრისით უზრუნველყოფა, ხოლო იმ ოჯახებს, რომლებსაც ქონი აქვთ ჩადგმული და ფაქტობრივად არ ცხოვრებენ უნდა ეთქვათ უარი პროგრამაში ჩართვაზე.

დალი ქიქავა მიიჩნევს, რომ გამოთხოვილი უნდა იქნას ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ, კერძოდ, ისეთი პროგრამების, როგორიცაა სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის მიერ ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის/სახლის/მიწის, განსახლების კომპენსაციის- არანაკლებ 25 000 ლარისა ან/და საცხოვრებელი ფართის გადაცემა. მისი მოსაზრებით შესაძლებელია დადგინდეს გამომრიცხავი გარემოებები, მაგალითად, საცხოვრებლის ქონა ან სახელმწიფოსგან მიღებული დახმარება. ასევე, გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ რიგითობის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ობოლ ბავშვებს და ასევე სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი და არ უსარგებლიათ ზემოხსენებული შეღავათებით.

გელა ცინცაძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ თვითმმართველ ქალაქში რეგისტრირებული ქონების საკუთრებაში არსებობა არ უნდა იყოს გამომრიცხავი გარემოება, მისი მოსაზრებით, თუ ოჯახი არ არის გასაყოფი და მუნიციპალიტეტში აქვს საცხოვრებლად ვარგისი ფართი პროგრამით არ უნდა ისარგებლოს. ამასთან, პროგრამა არ უნდა გავრცელდეს იმ ოჯახებზე, რომლებსაც მინიმუმ 5 წლის განმავლობაში უწყვეტად გააჩნიათ 40 000 ლარი და მეტი შემოსავალი 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად კანონმდებლობა გარკვეულ

პასუხისმგებლობას აკისრებს 40 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე პირს, ისინი ვერ სარგებლობენ ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო თუ სოციალური პროგრამებით. ასევე, აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის მიზნებისათვის მიზანშეწონილია განმარტებული იქნას ოჯახის ცნება.

შოთა დოლიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ერთ-ერთ ე.წ. ,,ჩამკეტ მექანიზმად" დასახელდა გარემოება, როდესაც ოჯახს 2019 წლიდან გასხვისებული აქვს უძრავი ქონება თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი), მიზანშეწონილი იქნება, რომ განხილული იქნას გასხვისების მიზეზი. მაგალითად, შესაძლებელია გასხვისება გამოწვეული იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი დოკუმენტაციით. ასევე, გამომრიცხავი უნდა იყოს გარემოება, როდესაც ოჯახმა ისარგებლა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით. ასევე, აღნიშნა, რომ სამინისტროში მოქმედ პროგრამაში ჩართვის მიზნით შემოსული განცხადებით ბენეფიციარი ადასტურებს, რომ პროგრამით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შემთხვევაში ე.წ. ,,ოცნების ქალაქში" საცხოვრებელ ფართის მიღებაზე პრეტენზია აღარ ექნება. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც ე.წ ,,ოცნების ქალაქში" მცხოვრები ოჯახები ითხოვენ ოჯახის წევრის დამატებას ან/და ცვლილებას. მაგ.: განხორციელდა დემოგრაფიული ცვლილება, დაიბადა ბავშვი, პირს მიენიჭა შშმ სტატუსი, ქორწინების შედეგად დაემატა ოჯახის წევრი და ა. შ.

ნინო ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ საკმაოდ მკაფიოდ დასახელდა ე.წ. ,,ოცნების ქალაქში" მცხოვრებთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით შესაბამისი კრიტერიუმები, ასევე, შემზღუდავი გარემოებანი და პროგრამაში მონაწილე ოჯახების რიგითობის პრინციპი. ასევე, მიუთითა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 400 000 და მეტი სარეიტინგო ქულის ქონა არ უნდა იყოს პროგრამით სარგებლობის შემზღუდავი გარემოება. ამასთან, მიზანშეწონილია რიგითობის დადგენის დროს განისაზღვროს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში კონკრეტული სარეიტინგო ქულის არსებობა (მაგალითად არაუმეტეს 120 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით. მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნული ქულის ჩათვლით ითვალისწინებს სოციალური დახმარების დანიშვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა მის შემდეგ არსებულ კრიტერიუმებს აზრი დაეკარგება. ასევე, განმარტა, რომ რიგითობის პრინციპის დაცვის დროს ,,სპეციალური სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე პირად" უნდა ჩაითვალოს ის ადამიანი, რომელსაც პროგრამაში ჩართვის პერიოდისათვის არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი მინიჭებული, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა (ავთვისებიანი სიმსივნე, თირკმლის უკმარისობის მძიმე ფორმები, ღვიძლის ქრონიკული და ვირუსული დაავადებები, მუდმივი ჩანაცვლებითი მკურნალობა, იშვიათი დაავადებები და ა.შ) და საჭიროებს ხანგრძლივ ან/და მუდმივ სამედიცინო მომსახურებას.

ზემოთ მითითებული გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

სამუშაო ჯგუფმა დაადგინა:

1. ე.წ ,,ოცნების ქალაქის" ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ პროგრამის (შემდგომში-პროგრამა) მოსარგებლედ განისაზღვროს ოჯახი, რომლის შემადგენლობა აღწერილია და რეგისტრირებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და მათ მიერ დაკავებულ საცხოვრისს მინიჭებული აქვს ნომერი (2019 წლის მდგომარეობით).

2. განისაზღვროს პროგრამაში მონაწილეობის გამომრიცხავი კრიტერიუმები (გარემოებები), რომელთა არსებობის შემთხვევაში ოჯახი ვერ ისარგებლებს პროგრამით;

2.1. პროგრამით ვერ ისარგებლებს:

ა) ოჯახი, რომელსაც 2019 წლის 1 იანვრიდან საკუთრებაში გააჩნია თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) მდებარე უძრავი ქონება;

ბ) ოჯახი, რომელმაც 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ გაასხვისა თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) მდებარე უძრავი ქონება;

გ) ოჯახი, რომელსაც 2017-2021 წლებში უწყვეტად მიღებული აქვს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი და მეტი შემოსავალი;

დ) ოჯახი, რომელმაც ისარგებლა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით;

ე) ოჯახი, რომელსაც სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა საცხოვრებელი ბინის, სახლის, მიწის, განსახლების კომპენსაცია არანაკლებ 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარისა ან/და საცხოვრებელი ფართი.

2.2. დადგენილი კრიტერიუმების მიზნებისათვის ოჯახი შედგება სამუშაო ჯგუფის მიერ რეგისტრაციის შედეგად ანკეტურ მონაცემებში აღწერილი პირებისაგან, აგრეთვე აღწერის შემდეგ დაბადებული ბავშვისა და ქორწინების საფუძველზე შემატებული წევრისაგან.

3. პროგრამით მოსარგებლე ოჯახებისათვის, პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, დადგინდეს შემდეგი რიგითობა:

3.1. საცხოვრებელი კომპლექსის მეორე ეტაპის მშენებლობისათვის და მიმდინარე მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი სივრცის (გზა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა და ა.შ.) მოწყობისათვის გამოსათავისუფლებელ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები (ტერიტორიული პრინციპით);

3.2. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი;

3.3. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

3.4. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია სპეციალური სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე პირი (პირი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, თუმცა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს ხანგრძლივ ან/და მუდმივ სამედიცინო მომსახურებას);

3.5. მარტოხელა მშობელი;

3.6. მარჩენალდაკარგული;
3.7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი;
3.8. მრავალშვილიანი ოჯახი (3 და მეტი არასრულწლოვანი შვილი);
3.9. ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არაუმეტეს 120 000 სარეიტინგო ქულით;
3.10. მრავალსულიანი ოჯახი (7 და მეტი წევრი);
3.11. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია ომის ვეტერანი ან მასთან გათანაბრებული პირი;
3.12. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია საპენსიო ასაკის პირი;
3.13. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი;

3.14. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი;
3.15. იპოთეკით დაზარალებული ოჯახი (ოჯახი, რომელმაც იპოთეკის გამო დაკარგა საცხოვრებელი სახლი).

წინამდებარე რეკომენდაციები წარედგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

სამუშაო ჯგუფის უფროსი ჯაბა ფუტკარაძე

სამუშაო ჯგუფის წევრები:

ოთარ დიასამიძე

ზურაბ თენიეშვილი

ირინა ბათაძე

ეკატერინე ბახტაძე

გელა ცინცაძე

კობა თედორაძე

ნაზი მგელაძე

დალი ქიქავა

დავით ქათამაძე

შოთა დოლიძე

ჯგუფის მდივანი: ინგა გოგიძე